საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.- ფასი 2 მანეთი

პარასკევი, 26 დეკემბერი 1919 წ. № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია (ღიაა 9—2 და 5—7).
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა (ღიაა 9—2 და 5—7).
გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 3 მ. უკანასკნელზე 2 მ.
სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ 75 მ., 12 საათის შემდეგ 100 მ.

ხვალ შაბათს დეკემბრის 27 საზოგადო საკრებულოს დარბაზში
გ-ნ ინაშვილის და გრიშაშვილის მონაწილეობით
იმართება
გრანდიოზული საღამო
გაგრის ფრონტზე მდგომ ჯარის სასარგებლოთ.

განცხადება.

იყიდება ოჯახის მოწყობილობანი: მხატვრული სურათები, ბიბლიოთეკა, საჩაიე და სასადილო მოწყობილებანი: მისამართი ორპირის ქუჩა, წერეთლის სახლი. (იკითხეთ ეზოში). (1—1).

ქუთაისი, დეკემბრის 26.

რუსეთის მდგომარეობა. რუსეთის მდგომარეობა ყოველთვის საგულისხმო და საყურადღებო იყო ჩვენთვის და დღეს მით უმეტეს, რადგან ერთადერთი და უმეტესი საფრთხე ჩვენს დამოუკიდებლობას სწორეთ რუსეთიდან მოელის. ბნელი ძალა, რომელიც აიმართა რუსეთში ამ ორი თვის წინ დენიკინის სახელით საოცარსა და მკაცრ მომავალს გვიმზადებდა. დენიკინის ლოზუნგი „მთლიანი და განუყოფელი რუსეთია“, კიდევ ოცნების ლანდი იყო და მისმა მატარებელმა ძველი დროის სამხედრო პირმა ისეთი ნაბიჯები გადასდგა, რომ წინდაწინვე თავი მოაძულა ყველას და მტერი კი არა მომხრე და თანამგრძნობლებიც კი ჩამოაშორა და აამხედრა.

დენიკინის შეცდომებით ისარგებლა მისმა მოწინააღმდეგე ბანაკმა—ბოლშევიკებმა და საოცარი სიჩქარეთით გაძლიერდენ. ხალხის თვალში სახელ-გატეხილი, მომხრეებისთვის უიმედო დენიკინი დღითი-დღე სუსტდება და ლამის მოისპოს და ისტორიის მასალათ გადიქცეს.

რუსეთში ნიადაგი ეკარგებოდა, სამშობლო ქვეყანა ხელიდან ერთმევოდა ბედშავ ღენერალს და ის კი საქართველოს გასანადგურებელ გეგმას ადგენდა. აი ასეთია სულიერი მისწრაფება ბოროტებით სავსე ძველებური, ბარბაროსული ღენერლისა.

ყოველ მხრივ განადგურებული დენიკინი მოკავშირეებს უძახის: „მომეხმარეთ ფულით, იარაღით და ჯარით, თორემ თქვენს მტერს—გერმანიას შევუერთდებიო“. ამხანაგი რომ ამხანაგს ეტყვის მომეხმარე, თორემ გიღალატებო, ეს ახირებული ამხანაგი იქნება. ღალატით დამუქრება ცხადათ ამტკიცებს, რომ მას არავითარი საამხანაგო პირი არა ქონია.

ამას დღეს მოკავშირენიც გაიგებენ და ამ ბნელ ძალას დაფანტავენ.

მეორე მხრით ძლიერდება ბოლშევიკები, რომლებმაც ისარგებლეს შემთხვევით და მიიმხრეს ყველა პროგრესიული ელემენტები, რადგან დღეს რუსეთში სხვა გზა აღარ არის ან დენიკინი, ან ლენინი და ისევ ლენინი არჩიეს, თუმცა ბოლშევიკებიც არ-ებითად სცვლიან თავის პროგრამასაც და ტაქტსაც.

საქართველოსთვის რუსეთში ბოლშევიზმის გამაგრებაც საფრთხეა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აგრესიული ნაბიჯები მათაც არ გამოადგებათ. ჩვენთან ისინი ომს ვერ აწარმოებენ, თორემ მაშინ მათაც ნიადაგი დაეკარგებათ და საერთაშორისო მოსალაპარაკებლათ ვერავის მიეკარებიან.

ბოლშევიკების დროებით გაძლიერებას შემთხვევითი ხასიათი აქვს და რომ უნიადაგო რუსეთში ასე თუ ისე მათ ფეხი მოიკიდონ ერთათ ერთი გზაა შეუთანხმდენ ყველას და დროებით ისეთი მთავრობა შეადგინონ, რომელსაც ევროპა იცნობს და უფლებიანათ ჩასთვლის.

ეს მიზანი ბოლშევიკებს უკარნახებს, რომ საქართველოსთან ომი არ აწარმოონ, და თუ ეს გზა შესცვალეს და თავის მდგომარეობას გეზი ვერ აუღეს, მაშინ მათაც ის ღონე მოელის, რაც დენიკინს დაადგა.

სალამი გაგრის მხედრობას.

მთავრობა რომელიც სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის ზრუნავს, ზედაპირია და მუდმივათ იცქირება სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალაში, ის მტკიცეთ აწარმოებს შეტევას, როცა ძლიერებას ხედავს ჯაბუკთა გროვაში, მხოლო დათმობის გზას ადგია, როცა სოციალ-ეკონომიური მიზეზების გამო ჯეროვანათ არ ეგულება მოგვარებული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალა. ასეთი პოლიტიკის მატარებელია ყოველი მთავრობა თუ იგი ავანტიურული ან ანარქიული არ არის. სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალათ ჩვენ მიგვაჩნია ყოველ უფლებრივ სახელმწიფოს მიერ ცნობილი **რეგულიარული ჯარი**. ეს ერთად ერთი სახელმწიფო ორგანიზაცია არის, რომელიც აკმაყოფილებს ჯარის ანბანურ მოთხოვნილებას, მის ზეკლასიურობას, და ზეპარტიულობას. ყოველგვარი სამხედრო ძალა გარეშე რეგულიარულ ჯარისა, ჩვენ მიგვაჩნია იმ ხორცმეტათ რომელიც ადამიანის სხეულს უნდა ჩამოეჭრას. ჩვენი იდეალია შეიქმნას საქართველოში, მტკიცე, შეუპოვარი, მტრისათვის მრისხანე, ზეკლასიური და ზეპარტიული რეგულიარული ჯარი. ყველა სხვა ორგანიზაციები მსხვერპლად უნდა შეეწიროს ამ ერის დიდებას, და ჩვენ კვლავ ვიხილავთ საქართველოს დროებით მიღებულ საძღვრებს გარეშეც. კვლავ გაიხარებს საქართველო თავის ისტორიულ საზღვრებში.

არარეგულიარულმა ძალამ სახელმწიფოში ადგილი მალე უნდა დაუთმოს **რეგულიარულ ჯარს**. ჩვენ ძველი ყაზარმების წინააღმდეგი ვართ, მოვითხოვთ მის საფუძვლიან რეორგანიზაციას, მაგრამ გვრწამს რომ ერთი ალაგი სადაც აღნიშნულ ხნოვანობაში თავმოყრილნი უნდა იყვენ ჭაბუკნი-კი აუცილებელია.

ჩვენ ვიცით რომ, სკოლაში ბეჯით ექსტერნს ბეჯითი „პანსიონერი“ სჯობია.

ასეთი ბლოკჰაუზები რასაკვირველია ჯეროვანათ უნდა იყვენ მოწყობილნი, და მათი სახელებიც აღარ იქნება წითელ დროშათ ისპანელი ხარებისთვის.

სახელმწიფოში ვერასოდეს ვერ დამყარდება წესიერი თანხმობა იმ ორ ძალას შორის, რომლებიც ერთნაირად უნდა იყვენ მიღებულნი მართველნი წრეებისგან, მაგრამ სინამდვილით ერთს ბონბონებით კვებავენ მხოლო მეორეს ცივი ჭადიც არ ააქვს თავის დროზე.

უსწორ მასწორი მდგომარეობა ორ ძალას შორის დაკანონებული წესით უნდა მოისპოს.

არ შეიძლება იქნეს კეთილი განწყობილება იმ ორ ადამიანს შორის, რომელთაგან სახელმწიფო ერთისას ფეხის ადგმის დღეს დღესასწაულობს, მხოლო მეორის დაბადებაც დამიწყებული აქვს.

ჩვენი ექსპრესიული პოლიტიკა სახელმწიფოში, ერთს მაგრამ მტკიცე სახელმწიფოებრივ შეიარაღებულ ძალის ორგანიზაციას მოითხოვს. ვიმეორებთ ასეთ ორგანიზაციათ რეგულიარული ჯარი მიგვაჩნია.

როცა სახელმწიფო შიმშილს განიცდის, ჯარი მაინც მაძღარი უნდა იყოს.

როცა სახელმწიფოში მანუფაქტურა არ მოიპოვება-ჯარი მაინც შეოსილი უნდა იქნეს.

და მხოლოდ მაშინ შეუძლია მთავრობას იდგეს თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

დღემდე ქართველ შეიარაღებულ ძალას, რეგულიარულ ჯარს, ყოველგვარი არამც თუ პრივილეგიები, არამედ კუთვნილი პატივისცემაც კი აკლია.

არა ერთხელ განუცხადებიათ უკანასკნელი წლების მენშეკიკების პრემიერებს საქართველოში, რომ რეგულიარული ჯარი, რომელიც სოფლის გლეხობისაგან შესდგება, კონტრრევოლიუციონურია, და პირველი სურვილის თანავე შეუძლია დაასამაროს, რევოლიუციისგან მონაპოვარი თავისუფლებანი. აჰას ამბობდენ მაშინ როცა, მეორე სამხედრო ძალას, რომელიც პარტიულ ძალათ მიაჩნდათ, ტკბილეულობით უმასპინძლდებოდენ.

მაგრამ დახეთ მათ მოთბინებასდღემდე კრინტი არ დაუძრამთ, მათ და სასიქადულოთ კოლექტიურათ პროტესტი არ განუცხადებიათ.

დიდი იყო და დიდია მათი სულგრძელობა. ქართველი ერის მესვეურთ, ერთხელაც არ გადაუხდიათ ზეიმი ჩვენი ჯარისთვის.

ეს მენშევიკების პოლიტიკაა: მათ ზოგი გერებათ მიაჩნიათ, ზოგი პირმშო შვილებათ.

მაგრამ საქართველოს თვალწარმტაცი, მდიდარი ბუნებრიობა ისე არ დაეცემა, რომ ერთხელ მაინც არ გადაუხადოს თავგანწირულ შვილებს-სადღესასწაულო დღე.

ჯარის სიძლიერეზე არის დამოკიდებული სახელმწიფოს კეთილ დღეობა.

ჯარის სიმამაცემ მოუპოვა გერმანიას ის სახელი, რომელიც ახლა ხან ომის პირველ ნახევარში ქონდა მას.

ინგლისის ჯარებმა შესძლეს ომის მეორე ნახევარში, მსოფლიო პოლიტიკის მესვეურობა ლოიდ-ჯორჯისთვის ჩაებარებიათ.

მოხალისეთა რეგულიარული ჯარი იყო, რომ ლენინ ტროცკის სარდლობა ამ ზაფხულზედ ლოკოკინას საჭუჭში მოათავსა.

საბჭოთა ჯარია, თუმც გვარდიათ წოდებული, მაგრამ რეგულიარ ჯარის ორგანიზაციის სისტემაზე აგებული, რომ თავდ ღმა აყოლებს დღეს მეფის ღენერლებს.

რეგულიარული ჯარის ორგანიზაციის უქონლობის დროს, (თუმც შემთხვევითი ძალა დიდი იყო) დაჰკარგა საქართველომ საუკეთესო კუთხე—ბათუმი, რომელსაც ეხლა ევროპის ყველა სახელმწიფოები ეტრფიან.

მაგრამ იგივე რეგულიარული ჯარი იყო რომ, განმტკიცების შემდეგ შემპარავ სომხებთან ბრძოლაში შულავერ-ეკატერინეფელდში დაჯნის გვირგვინი დაიდგა.

და ყველაფერი ხომ სახელმწიფოში ჯარია.

ქართული ჯარი, დღიდან თავის შექმნისა და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისა, საქართველოს დარაჯათ უდგია. იგი მოპირისპირეა მტრის, და სალამის მომცემი, სასტუმროთ არა აგრესიული მიზნებით შემოსული ყოველგვარ დელეგაციებისა.

ქართული ჯარი—ოთხმოცდა ცხრამეტი ფუთის სიმძიმეს წევდა და ჩუმად იყო მაშინ, როცა რიცხვით თანასწორი სხვა დამხმარე ძალები ერთი ფუთის აწევით ბაქიაობდენ.

ჯარის საამაყო თვისება არის, რომ არც ერთ გამოსვლებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ქართული ჯარის სარდლებს ძვალით რბილამდე გამჯდარი აქვსთ, თავიანთი მოვალეობის აღსრულების პრინციპები, და ამიტომ პოლიტიკაში ჯარი არ ერევა.

ის არავის არ ემუქრება ვინც საქართველოს თავს არ ესხმის.

არავის არ აპატიმრებს—თუ არა მოწინავე პოზიციებზე მოპირდაპირეთ.

არავინ არ აყავს სახრჩობელაზე, და არც სატუსაღოში ამწყვდევს დღისით ·ვითომდა „კონტრ—რევოლიუციონერებს“, რომ დაბინდებისას სიცოცხლეს გამოასალმოს.

გარკვეული აქვსთ ადმინისტრაციის დანიშნულება და ჯარის მოვალეობა, და ამიტომ ვეუბნებით:

ვაშა მამულიშვილებს,
გაუმარჯოს ჩვენ მხედრობას,
სალამი ჯარს.

ქართული ჯარი, სისხლით ხორცამდე შეეთვისა ქართულად აზროვნებას, მათმა სარდლობამ, კარგა ხანია განდევნა ლევიცკის მეთოდი და ყოველგვარი მეცადინეობა დღეს ქართულ ენაზე სწარმოებს, ამიტომ ვამბობთ რომ ჩვენი ჯარი დღეს აღარავის დაუთმობს ეროვნულ თავისუფლებას, თუ გინდ ძნელი გადასატანიც იყოს მოღალატე ზნევორებთან ბრძოლა.

ჩვენ იმედი გვაქვს რომ ქართული სარდლობა, უცხო შეფების ბრძანებებს თავგანწირულებით უპასუხებს, და მოსულ მოკეთეების აღლუმში მონაწილეობას მიიღებს.

მაშ დიდება, სულგრძელობა, და მტრისათვის მრისხანე მარჯვენა ჩვენ ჯარს.

მთელ საქართველოში ჯარის დღესასწაულის მოწყობა, მძიმე საქმეა, მაგრამ აუცილებელი. ჩვენმა მთავრობამ და ხალხმა ერთხელაც იქნება თავი უნდა შეიწუხოს მათთვის, ვინც მუდამ სწუხს და ვინც დარაჯათ უდგია სახელმწიფოს, ერთი დღე უნდა აიჩინოს თუ გინდ წელიწადშიდაც და ამ დღის შემოსავალი ყოველმა ქართველმა, ჯარის სასარგებლოთ უნდა გადადვას. მაშინ ჩვენი ჯარიც სულიერათ გამხნევდება, და მორალური მოვალეობა გადახდილი გვექნება.

საბჭოთა რუსეთში ასეთი დღეები წელიწადში მგონივ 12 იი. და ესეც რომ არ იყოს, წითელ ჯალათებს დახვრეტილი ხალხის მოძრავი ქონება დააკმაყოფილებსთ.

დენიკინის სამეფოში, ხალხს ქუჩებში ხდიან თბილ ტანსაცმელს და ჯარს აცმევენ, ასეც რომ არ ხდებოდეს მოხალისეთა ჯარს „ნაპაგრომალი“ ებრაელებიდან ნადავლი ეყოფა.

მკითხველი მეტყვის—რაღა აჯანყებული მონები და დახავსებული კონსერვატორები მოგიყვანია მაგალითადო?

მეტი სამაგალითო ჩვენ არავინ გვყავს, თუ აიღებთ ევროპის სახელმწიფოებს, იქაური ჯარი გაცილებით უკეთაა ჩაცმული—ვიდრე ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია.

ჩვენც მივიღოთ ზომები, და ჩვენი ჯარის მდგომარეობა, ნაწილ-ნაწილ მაინც გავაუმჯობესოთ.

ჯარის ბედის გულშემატკივართ განუზრახავსთ ხვალ საზოგადო საკრებულოს დარბაზში, გაგრის ფრონტზედ მდგომ ჯარის სასარგებლოთ სალამო მოაწყოს. სალამო შინაარსიანი იქნება. ესეც რომ არ იყოს ქუთაისის საზოგადოებამ, უნდა დაამტკიცოს ჯარისადმი სიყვარული. უნდა შეიტანოს თავისი წვლილი იმ სალაროში, [illegible] ერთი კაპიკი ვერ [illegible] შე გაგრის ჯარისა. ჩვენ დასავლეთ—ჩრდილოეთის დარაჯებს საშობაო და საახალწლო საჩუქრები ეპირვებათ. შეძლებულებმა უნდა გაიღონ თავიანთი წვლილი, ამ საჩუქრების შესაძენათ და მათ გადასაცემათ. ღარიბებმა კი წრფელი გული უნდა უჩვენონ ჩვენს დარაჯებს, და მაშინ ჩვენი მხედრობა უფრო თავგანწირულათ და მამაცურათ დაგვიფარავს ჩრდილოეთის საფრთხისაგან.

ქუთაისის ინტელიგენცია, მოწინავე ინტელიგენციათ ითვლება საქართველოში, და მან უნდა უჩვენოს ხალხს მაგალითი ჯარის სიყვარულისა. ქუთაისის ვაჭრები შეგნებული ვაჭრები არიან, და იმედია არ დაერიდებიან ჯარისთვის წვლილის გაღებას. ქართველი მუშები მოწინავე მუშები არიან ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე, და დღესაც დაამტკიცებენ თავიანთი მოვალეობის შეგნებას.

მაშ ხვალ, საზოგადო საკრებულოს დარბაზისკენ ყველა უნდა მიისწრაფოდეს, გაგრის ფრონტზედ მყოფ ქართული ჯარის სადღესასწაულო ზეიმში მონაწილეობის მისაღებათ.

ჩვენი გულწრფელი სალამი ჩრდილოეთის დარაჯებს.

ბიკ. მუხურელი.

სალამი ფრონტს!

აღსრულდა!

შავი ვეშაპის ქვეშ მგმინავმა ერმა წითელი დროშა ააფრიალა, მაგრამ ვეშაპის შავმა სისხლმა შავათ შეწინწკლა ამაყი დროშა.

ცა პირქუშობდა...

ნაძირალების ბრბო დაძრწოდა და

ქართველი კათოლიკეები და ანტონ დელფუშე.

ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა სომეხთა საეკლესიო მართველობის ქვეშ უწინაც არა ნორმალური იყო, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში მაინც აუტანელი შეიქნა. ამის მიზეზი მეტათ რთულია და მისი დამალვა ან ადვილათ გამოსწორება სომეხთა მთავრობას არ შეეძლო, მაგრამ პიროვნებისა და შემაღგენელობის მეოხებით შეიძლებოდა საქმე ისე არ გამწვავებულიყო, როგორც ეს მოხდა ამ ბოლო წლებში ტერაბრამიანცისა და კალატოზიშვილის წყალობით.

ქართველ კათოლიკეთა გამწვავებულ მდგომარეობაზე აღძრულმა მიწერ-მოწერამ რომის პაპის ყურადღება მიიპყრო და მას აქეთ განსაკუთრებული პირი გამოაგზავნინა ამ საკითხის ადგილობრივ გამოსაკვლევათ და შესასწავლათ.

პაპისგან გამოგზავნილი პირი იყო ანტონ-დელფუშე, რომელიც ოფიციალურ მანდატში [1]) არის მოხსენებული, როგორც ვიზიტატორი [2])

ე. ი. მიმომხილველი. მას ევალება: „მიმოიხილოს აქ მყოფი მორწმუნენი, გაიგოს მათი საჭიროებანი, სურვილები და ყოველივე მათ უწმიდესობას მოახსენოს“...

დელფუშე, როგორც გამოირკვა მისი მოქმედებიდან საკითხს საქართველოში მისვლამდი თეორეტიულათ იყო გაცნობილი და მისი შეხედულება ისეთი მიწერ-მოწერის საბუთებზე დამყარებული რომელნიც საკვირველნი სხვებით ნათლათ არ აშუქებს დიდიხნის სადავს და ახლა უკვე სასწრაფოთ გადასაწყვეტათ საგანს.

ქართველი კათოლიკენი დიდი ხნიდან მოითხოვენ: 1) სომეხთა საეკლესიო მართველობიდან გამოყოფას და 2) სომხური ტიბიკონიდან ლათინურზე გადასვლას.

ეს საგანი ნათლათ იყო აღნიშნული იმ მოხსენებაში, რომელიც ქართველ კათოლიკებმა წარუდგინეს მეფის ნაცვლის თანაშემწეს ვატაცის.

ჩვენთვის უწინაც ცხადი იყო და ახლა თვით დელფუშესაც მისმა აქ ორი თვის ყოფნამ აშკარათ დაუმტკიცა, რომ ქართველ კათოლიკეთა დამოკიდებულება სომეხთა მართველობასთან იმდენათ გართულებულია, რომ აქედან ერთად ერთი გამოსავალია ქართველი კათოლიკეების სომეხთა მართველობიდან გამოყოფა. ამის შესახებ ორი აზრი შეუძლებელია ვინმემ იქონიოს და რა თქმა უნდა ამ გარემოებას პაპის ტახტიც ანგარიშს გაუწევს და საკითხს დადებითად გადასწყვეტს.

მეორე საგანია ტიბიკონის საკითხი—საკითხი რთული და პირველ ხარისხოვანი.

საზოგადოთ ქრისტიანთა ეკლესიაში ტიბიკონი ორგვარია: აღმოსავლეთის (საბერძნეთის ეკლესიის) და დასავლეთის (რომაელ კათოლიკეთა ეკლესიის). ამ ორ ტიბიკონს შორის არსებითი განსხვავებაა. აღმოსავლეთის ტიბიკონი კიდევ ორგვარია: სტუდიისა, რიგისა და კონსტანტინოპოლისა. ქართული და სომხური ტიბიკონი აღმოსავლეთის ტიპისაა და ამიტომ შედარებით რომა ვსთქვათ აქ არსებითად იმდენი განსხვავება არაა.

ტიბიკონის საკითხი სარწმუნოებრივია და არა ეროვნული. ქართველი კათოლიკენი მძიმე გარემოებისა გამო იძულებული შეიქნენ დროთა განმავლობაში სომხურ ტიბიკონზე ყოფილიყვნენ. ეს მდგომარეობა იყო იძულებითი მიღებული და დროებით მისაღები, მაგრამ დამაკმაყოფილებელი არასოდეს არ იყო და მით უმეტეს ახლა აღარ იქნება. ამიტომ სომხური ტიბიკონიდან ქართველი კათოლიკეები გადაყვანილ უნდა იქნენ სხვა ტიბიკონზე—ან ქართულზე ან ლათინურზე.

ქართველი კათოლიკენი, რომ ამ საკითხს ეროვნული თვალსაზრისით სწყვეტდენ, რა თქმა უნდა ყველა ქართულ ტიბიკონს მიიღებს და პაპის ტახტიც ამას ადვილათ დაადასტურებს, რადგან ამას პაპის ბულლაც ნებასა რთავს, [1]) მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ არის.

ქართული ტიბიკონი მართმადიდებლობის აღმსარებელთა წესია და როცა ქართველ კათოლიკეს ეუბნებით ქართული ტიბიკონი მიიღეო—ეს ნიშნავს არსებითად წესის შეცვლას და ეს კი მისთვის მიუღებელია. ასეთი წინადადება ქართველ კათოლიკეთ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით საფრთხეთ მიაჩნიათ და ამ მიმართულებისაკენ მათი იძულებული მიწევა სინიდისისა და სარწმუნოების თავისუფლებას არ ეთანხმება, ამიტომაც ეს ნაბიჯი სამართლიანობის თვალსაზრისით დაუშვებელია.

ქართველი კათოლიკეები მოითხო-

[1]) მანდატის ასლი ინახება ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის თამარაშვილის სახელობის წიგნთ საცავში.

[2]) ჩვენს პრესაში დელფუშეს ზოგიერთი ლეგატათ იხსენიებს, მაგრამ „ლეგატი“ და „ვიზიტატორი“ სხვადასხვა სახელწოდებაა და მათი უფლება და დანიშნულება ერთმანეთში არ შეიძლება აურიოთ.

[1]) ბულლა პაპის ლეო XIII-სა 1894 წლის მუხლი VII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარფაშობდა... თავისუფალი მოქალაქე თვალებს იფშვნეტდა... წითელ დროშას კი შავი წინწკლები ემატებოდა?

მაგრამ გათავდა თვალების ფშვნეტა; ზოგიერთმა გამოიღვიძა და ძველებურათ, ქართველურათა, „ჰკა მაგასა“-ო მედგრათ შესძახა...

სისხლი იღვროდა!

შავბნელ მტრის ლაშქარს შამაცი ერის გმირი შვილები ლომებრ ეკვეთენ. ორი წელია სანგრებში სხედან... სხედან სამშობლოს სადარაჯოზე!

მოშორებიან კეკლუც ბუნებას, მშობელ ნათესავთ, საყვარელ ცოლ-შვილს... და დარაჯობენ!

საქართველოს მიდამოებში კი ამაყათ ფრიალებს დროშა, დროშა ეროვნული!

იდარაჯეთ მანდ, ამაყო შვილნო მრავალტანჯული საქართველოის!

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ კურთხევას უგზავნის თქვენს მარჯვენს!

დღეგძელობა საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას.

სალამი მის სახელოვან დარაჯებს-სალამი ფრონტს!

შ—ა.

რეგულირული ჯარი.

საკმარისი არ არის რაიმე სიკეთის განხორციელება.

მისი შენარჩუნებისათვის კიდევ უფრო მეტი ენერგია და ბრძოლაა საჭირო.

დაინგრა ძველი წესწყობილება. იქმნება ახალი სოციალური ურთიერთობანი. ნგრევის პროცესი დასრულდა, უკვე სწარმოებს შემოქმედებითი მუშაობა. ეს მუშაობა მიმართულია ახალი სოციალური ფორმების შექმნისაკენ; და ასეთ მუშაობის დროს საჭიროა რომ მთელი ეროვნული ენერგია ერთ მიზნისკენ იყვეს მიმართული. ეს კი მაშინაა მოსახერხებელი, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა უზრუნველყოფილი იქნება ყოველგვარ მტერთა განადგურებისაგან და ყოველი მოქალაქე დამშვიდებული გულით შეასრულებს თავის მოვალეობას.

თუმცა ყოველი ჩვენგანი ვალდებულია თავის სახელმწიფო იარაღით ხელში დაიცვას, მაგრამ სანამ მთელი ხალხი შეიარაღდებოდეს, ეს მოვალეობა რეგულიარულმა ჯარმა უნდა შეასრულოს. დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ჩვენ ვიცით რომ ჯარი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ბევრი ტანჯვა და ვაება გაიარა მან, მაგრამ მაინც არ დამცხრალა გმირული სული, და არ დაშრეტილა ეროვნული გრძნობით აღვსილი ენერგია. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ჯარი არ შედრკება და არ დაიხევს არასოდეს არავითარ მტრის ძალის წინაშე.

ჯერ ჩვენ კიდევ საფრთხე მოგველის: ცოცხალია დენიკინი, ევროპას თავისი უკანასკნელი სიტყვა პატარა სახელმწიფოების შესახებ კიდევ არ უთქვამს.

ასეთ პირობებში ყოველგვარ შემთხვევისთვის მზად უნდა ვიყვეთ. ჩვენ სხვისი იმედი არ უნდა ვიქონიოთ. მშრომელმა ხალხმა ჯართან ერთად უნდა დაიცვას თავისუფლება. ჩვენი ჯარის წარსული კი იმის საწინდარია, რომ მომავალში ის კიდევ მეტის ენერგიით, თუ საჭირო იქნება, გამოიჩენს თავის შემოქმედებითი უნარს და ერთხელ კიდევ დაანახვებს მთელ კაცობრიობას, თუ რა სასწაულისებური საქმენი შეუძლია მან შეასრულოს. ერთი რამ კი უნდა ახსოვდეს ჯარს: ხალხი ყოველთვის მასთან იქნება და თუ საჭიროება მოითხოვს, მათთან ერთად დაიხოცება.

სოლო.

ქართველ ჯარისკაცებს.

წყარონი მოჩუხჩუხებენ,
მთა-კლდეებს შეხარიანო,
ახ ნეტარება შენს გამჩენს—
ტურფა ქვეყანავ სვიანო!
დროებითია სოფელი
დარდებიც განუქარველი,
მაგრამ დროებით სოფელსაც
თან ჰყავს ერთგული მფარველი!
სამშობლოს გმირი დარაჯი
აქ არის ჯარის კაცია.
შეუპოვარი ბრძოლაში,
ლომივით თვალწარმტაცია!
უჯარისკაცოდ არ ვარგა
ქვეყანა რა გინდ ძლიერი.
მას ყველა დაეძგერება,—
როგორც ნადირი მშიერი!
ვაქებდეთ ჯარის კაცებსა
ფუტკარივითა მშრომელსა,
ულალავს ჭინჭველივითა,
მეომრებს დაუცხრომელსა.
მტრის გამოსროლილ ტყვიისთვის
გულმკერდი გაუშვერია.
ან ემსხვერპლება სამშობლოს
ან უნდა მოსპოს მტერია!
სამშობლოს გმირი დარაჯი
აქ არის ჯარისკაცია.
შეუპოვარი ბრძოლაში
ლომივით თვალწარმტაცია!

ლ. სორტელი.

ახალი ამბები.

ქუთაისის ქალაქის თავის არჩევნები. ამ დღეებში მოხდება ქალაქის საბჭოს კრება, ქალაქის თავის ასარჩევათ, თანახმად საბჭოს დადგენილებისა.

ქალაქის სასურსათო განყოფილება. ამას წინეთ ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, სასურსათო საკითხებზე, შეკითხვა შეიტანა ქალაქის საბჭოში. ამის გამო გურჯაანიდან, სასწრაფოთ იყო გამოწვეული სასურსათო განყოფილების გამგე ნ. საყვარელიძე, რომელიც უკვე ჩამოვიდა ქუთაისში. ამ დღეებში მოხდება ქალაქის საბჭოს განსაკუთრებული კრება ამ სასურსათო საკითხების განსახილველათ.

გრანდიოზული საღამო. ხვალ შაბათს ქუთაისის საზოგადო საკრებულოს დარბაზში, ბ-ნ ინაშვილის და გრიშაშვილის მონაწილეობით გაიმართება გრანდიოზული საღამო გაგ-

---

ვენ ლათინურ ტიბიკონს ქართულ ენაზე. აქ სარწმუნოებრივი ინტერესი და ეროვნული სავსებით შეთანხმებულია, მაგრამ ამაზედ პაპის მიმომხილველი გადაჭრით უარს ეუბნება და ამას მით ასაბუთებს, რომ საზოგადოთ ლათინური ტიბიკონის რომელიმე სხვა ენაზე გადათარგმნა რომის ტახტიდან პრინციპიალურათ და კატეგორიულათ უარყოფილია. ამიტომაც ქართულ ენაზე გადმოთარგმნის საკითხიც შეუწყნარებელია.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ლათინური ენა ტიბიკონისა მართლაც დღემდი ერთი დიდი შემაერთებელი ძალაა მთელი ქვეყნის კათოლიკეთა აღსარების ქრისტიანებისა. ამას დიდ მნიშვნელობას აძლევს პაპის ტახტი და ამის შესახებ ჩვენ და ყოველ თავისუფლათ მოაზროვნე მორწმუნეს შეუძლია ბევრნაირი შეხედულება გამოსთქვას, მაგრამ პაპის ტახტი ამით თავის დევიზს არ შესცვლის, ყოველ შემთხვევაში ამ საკითხის პრინციპიალურათ შესაცვლელათ ქართველ კათოლიკეთა მოთხოვნილებას მხოლოდ საბაბი შეუძლია მისცეს და მეტი არაფერი...

რაც შეეხება ლათინური ტიბიკონის ლათინურ ენაზე მიცემას, დელფუშე ამას უარყოფს, რადგან ტეხნიკურათ საძნელოთ მიაჩნია ამ წესზე ქართველებისათვის სათანადოთ მომზადებული მოძღვრების უყოლობისა გამო.

ამგვარათ დელფუშეს აზრით დარჩა ერთი გზა: ქართველმა კათოლიკებმა ან უნდა მიიღონ ქართული ტიბიკონი ან დარჩენ სომხურზე. ეს გარემოება ქართველ კათოლიკებს არ აკმაყოფილებს და აი სწორეთ ამან დელფუშეც ძაან ჩააფიქრა და ამის გამო ქართველი კათოლიკენიც მღელვარებაში იმყოფებიან.

მართალია ახალციხელ ქართველ-კათოლიკებს გადაეწყვიტათ ქართული ტიბიკონის მიღება და ეს გადაწყვეტილება კიდეც მიეტანათ დელფუშესათვის, მაგრამ ეს გარემოება დამაკმაყოფილებელი არ არის, რადგან ახალციხეში ქართველ კათოლიკეთა დიდი უმცირესობაა მარტო, და თუ ეს მარტო მათ ცალკე აისრულეს—ეს გამოთიშვა იქნება და ხელს შეუშლის ამ საკითხის **მთლიანი** სახით გადაწყვეტას.

ყოველ შემთხვევაში კერძო ჯგუფური ოქმებით და წინადადებით გამოსვლა ამ საკითხში არ ივარგებს.

აღძრული საკითხი დიდმნიშვნელოვანია, ის შეეხება 50 ათას მცხოვრების ინტერესს, თანაც დაკავშირებულია ეროვნულ საკითხთან და ამიტომ ამის გადაწყვეტა უფრო დინჯათ და წინდახედვით უნდა მოხდეს.

არ ვიცი როგორ უყურებს დღეს ამ საკითხს სომეხთა საეკლესიო მართველობა და საზოგადოთ სომხური ორიენტაციის მომხრენი, თუნდა ქართველი კათოლიკენი, თუ ასეთები სადმე არიან, სასარგებლოა ეს მათთვის თუ საზარალო, ან მათ რა სურსთ—ეს არსებითად საჭიროც არ არის და მე ამაზე აქ ლაპარაკი ზედმეტათ მიმაჩნია, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ისე, რომ ქართველ-კათოლიკეთა სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი ერთნაირათ დაკმაყოფილდეს და ეკლესიის სფეროში განხეთქილება არ მოხდეს, მიუხედავათ იმისა, ამ განხეთქილებით ვინ გაიხარებს და ვინ ისარგებლებს ან ვინ შეწუხდება და ვინ დაისჯება.

სამწუხაროთ ამ საკითხზე ორივე მხრით დამუქრება გაისმის.

დელფუშემ ახალციხის დელეგაციას ლაპარაკის დაწყებამდი კითხვა მისცა: ხართ თუ არა კეთილმორწმუნე კათოლიკეებიო? ეს კითხვა ძლიერ ცხადია და ამის შინაარსი და მნიშვნელობა ყველამ კარგათ უნდა იცოდეს და მით უმეტეს კათოლიკეთა სარწმუნოების აღმსარებელმა. საქმისათვის არ ივარგებს, თორემ რა თქმა უნდა კათოლიკეთა ეკლესიის წიაღში მორჩილება და უდავოთ ბძანების მიღება—მცნებაა. მეორე მხრით რევოლიუციონურათ მოაზროვნე ქართველ კათოლიკეთა ნაწილი დათმობის გზას უარყოფს და კატეგორიული კილოთი ლაპარაკობს, თანაც ეროვნულ საკითხს სარწმუნოებრივში ურევს, რაც ყოველად დაუშვებელია ისეთ გარემოებებში, როცა საერთო ენა და შემათანხმებელი პლათფორმაა გამოსაძებნი. ერთი ხელის მოსმით და შეტაკებით სარწმუნოებრივი საკითხი არ გადაწყდება, სარწმუნოებრივი გრძნობა მეტათ ნაზი და სათუთია—აქ ლმობიერებაა საჭირო.

სასურველია არავითარი კონფლიკტი არ მოხდეს და საქმე ისე მოგვარდეს. აი ამ მიზნით საქმეს კიდევ უნდა გადავხედოთ და სხვა გზა მოვსძებნოთ. მეც სწორეთ ამ განზრახვით მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება ამ საკითხს.

დელფუშე ქუთაისში ჩამოვიდა, იმას არ ვიტყვი, რომ მას ახალციხე ან სხვა რომელიმე კუთხე საქართველოსი აფრიკათ მოსჩვენებოდეს, როგორც ამას ბ. მესხი კათოლიკე

რის ფრონტზედ მდგომ ჯარის სასარგებლოთ. სასურველია, რომ საზოგადოება ბლომათ დაესწროს ამ საღამოს და ყველამ გაიღოს წვლილი ჩვენი ჩრდილოეთის დარაჯების სასარგებლოთ.

● **მადლობის გამოცხადება.** გაგრის ფრონტზე მდგომ ჯარის სასარგებლოთ საღამოს მომწყობი კომისია, მადლობას უძღვნის ნ. ჭუმბურიძეს, რომელმაც აღნიშნულ კომისიას დაუთმო საჭიროებისათვის 200 ფურცელი ქაღალდი.

◆ **მთავარგამგის წასვლა** ქუთაისში იმყოფებოდა საშუალო სასწავლებელთა მთავარ გამგე ს. დანელია, რომელმაც ინახულა ზოგიერთი გიმნაზია და ბოლოს პედაგოგიურ საბჭოებთან ითათბირა სხვადასხვა საგანზე. მთავარგამგის მოქმედება პედაგოგიურ წრისთვის დამაკმაყოფილებელი იყო.

გუშინ წინ მთავარ გამგე თბილისში გაბრუნდა.

◆ **სალავათიანი დღეები.** სამინისტროს განკარგულებით გიმნაზიათა პედაგოგიურ საბჭოებს ნება ეძლევათ შემოიღონ სალავათიანი დღეები: იანვარში—1, თებერვალში—2, მარტში—1, მაისში—1 და ივნისში—1. ამ დღეებში მოწაფეებისთვის უნდა მოეწყოს სხვადასხვა გასართობი, რაც ხელს შეუწყობს მოწაფეთა ზნეობრივ და გონებრივ და ესთეტიურ განვითარებას.

◆ **ხონის გზის გამგეობა** ხონის გზის საბჭომ ამ დღეებში აირჩია გამგეობა, რომელსაც ევალება გაუძღვეს მუშაობას გზის გასაკეთებლათ და შემდეგ მოძრაობის მოსაწყობათ. გამგეობაში სამი პირია: გ. მამაჯანოვი, ა. აბულაძე და ბ. ფალავა. ხელმძღვანელ ინჟინრათ ჯერ დატოვებულია ინჟენერი კარპოვი.

◆ **შეწირულება ქართულ მუზეუმს.** დავით ოტიასძე ნიჟარაძემ გადასცა ქუთაისის ქართულ მუზეუმს ძველი თოფი და ხანჯალი— ორივე ნივთი საყურადღებოა და ორივეს შესახებ ისტორიული განმარტება შემომწირველისა, მოკლე დროში გამოცხადდება. ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობა ბ-ნ ნიჟარაძეს მადლობას უძღვნის.

◆ **დანიშვნა.** ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი შ. ყიფიანი დანიშნულია ამავე სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგათ.

◆ **ქუთაისის სამეურნეო საცდელი მინდორი** აჯამეთში გადააქვსთ. იქ დათმობილი აქვს მას 60 დესეტინა მიწა სახელმწიფოს ფონდიდან.

◆ **ავაზაკის მოკვლა** ახალ სენაკში მილიციონერებმა მოჰკლეს ავაზაკი ვანო ჩაჩავა.

◆ **ვ. საათაშვილის გარდაცვალება** 20 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, თბილისში გარდაიცვალა ახალგაზრდა მწერალი ვ. საათაშვილი.

◆ **ერობის არჩევნები** საქართველოში ერობათა არჩევნების მეორე ვადა 20 იანვარში თავდება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრების მართველობის კომისიაში შეიტანა კანონ პროექტი არჩევნები გადადებულიყო ორი წლით კომისიამ ეს პროექტი განიხილა და დაადგინა არჩევნები ერთი წლით გადაიდოს.

◆ **გ. გუჯეჯიანის გასამართლება.** ამას წინეთ საჩხერის რაიონში გვარდიელებმა შეიპყრეს გ. გუჯეჯიანი, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრი. როგორც ცნობებია გუჯეჯიანი მისთვის შეუპყრიათ რომ საჩხერის რაიონში არჩევნებში ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას რომელსაც ის ხელმძღვანელობდა გაუმარჯვებოდა ამ საქმის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გუჯეჯიანის ოქმები და თვით გუჯეჯიანი თბილისში მოითხოვა, მაგრამ საველე სასამართლომ, ის ზესტაფონში გაასამართლა, და 6 წლის მაღაროებში მუშაობა მიუსაჯა.

◆ **ძველი სტუდენტების კრება.** ძველი სტუდენტების დროებითი პრეზიდიუმი სთხოვს ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას, დღეს საღამოს $4^1/_2$ ს. (ალექსანდროვის ქუჩა, თედორაძის სახლი). განხილულ იქნება სასწრაფო საკითხები რომლებიც დაკავშირებული [illegible] გამოცდების ჩაბარებასთან, დასწრება შეუძლიათ იმ სტუდენტებს რომლებიც რუსეთის უნივერსიტეტში სწავლობდენ.

თეატრი.

◆ **დღეს ხვალ და კვირას—„იულიოს კეისარი“**, შექსპირის ტრაგედია.

◆ **მულახის საზოგადოება.** 12 ნოემბერს სოფ. ჩაბიანში მ. გიგანმა ვინტოვკის ტყვიით დაჰკრა ძმა დავით გიგანი, რომელიც ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ძმები მთვრალი ყოფილიყვენ.

კორესპონდენციები.

ს. სიქთარუა. (შორაპნ. მაზრა). 30 ნოემბერს სიქთარუის 2 კლასიანი სკოლის შენობაში მოხდა მთელი სოფლის კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ირაკლი იაშვილი, მდივნობდა მღ. მელეტი რიჟამაძე. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები:

1. აშენდეს სკოლის ახალი შენობა ისევ ძველ ალაგას, თუ გადატანილ იქმნას სოფლის შუაგულში.

2. სოფლის უბნებად დაყოფა და კომისიის არჩევა. დიდი აურზაური გამოიწვია პირველმა საკითხმა. ვლ. ნემსიწვერიძემ აღნიშნა ის, რომ ახალი შენობის აგება ძველ ადგილზე არ იქმნება სამართლიანი, რადგან უმრავლესობის სურვილს წინ ეღობება, მხოლოდ უმცირესობას შეუძლია ამით სარგებლობა. ამაზედ მოწინააღმდეგეებმა ასტეხეს ერთი აურზაური. შემდეგ მოხსენება გააკეთა მასწ. გალინა ქიჩიაშვილის ასულმა, რომელმაც მოახსენა საზოგადოებას სამაზრო ერობის დაპირება სკოლის ასაგებად, მიწის დათმობისა.

უმრავლესობა იმ აზრს ადგა, რომ ამორჩეულიყო სოფლისათვის დასამხარი ადგილი და იქ აგებულიყო ახალი შენობა. იყვენ მოწინააღმდეგენი რომლებსაც სურდათ კრების ჩაშლა.

თავმჯდომარემ შესძლო ხალხის დაწყნარება. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „მიენდოს სკოლის შენობის ასაგებად ადგილის მოძებნა კომისიას, რომელიც კრებამ ამის შემდეგ აირჩია. სოფელი დაყვეს შვიდ უბნათ და თითო უბანში აირჩიეს თითო კაცი: **გუთნურისპირელი**

დავკარგე 15 გიორგობისთვეს მატარებელში 1) ობჩის ერობის მიერ მოცემული პიროვნების მოწმობა, 2) ჯარში ნამსახურების მოწმობები მოცემული 103 არტილერიის ბრიგადის სამმართველოდან 15 აპრილის 1917 წ. თარიღით. 3) ქუთაისის საარტილერიო ბრიგადის მიერ მოცემული მოწმობა 28 ქრისტეშობისთვის 1918 წლის თარიღით და 4) პირადობის მოწმობა, მოცემული ხონის მილიციის სამმართველოდან ნამსახურობის შესახებ. აღნიშნულ მოწმობებს დღეიდან გაუქმებულად ვაცხადებ.

(2—2) **ტერენტი ნ. შვილდაძე.**

ბძანებს, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ საქმის ვითარება მას სავსებით ვერ გაეგო; არ ვიცი ეს **ვისი** ან **რასი** ბრალი იყო, მაგრამ ფაქტი ფაქტათ უნდა დარჩეს, რომ ქართველების შესახებ მას ნამდვილი ცოდნა არა ქონდა.

ქუთაისში დელფუშეს სულ სხვა სურათი გადაეშალა თვალ წინ.

დელფუშე ქუთაისში გაეცნო ადგილობრივ კათოლიკეთა მდგომარეობას, მოისმინა წირვა, რომელზედაც ყოველივე საგალობელი ქართულათ შესრულდა, რის გამო ბოლოს კიდეც იკითხა, თქვენ რაღა გაქვსთ სათხოვიო?. იმოგზაურა მან გელათის მონასტერში, სადაც ყურადღებით დაათვალიერა ყველაფერი, რასი ნახვაც დღეს შეიძლებოდა აქვე ინახულა ქართული საისტორიო მუზეუმი და გაეცნო ქართული მწიგნობრობისა და ხელოვნების ნაშთებს. ქუთაისში დელფუშეს ქონდა შემთხვევა გაეცნობოდა მართმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელ სასულიერო და საერო პირებს, სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენლებს და მეთაურებს, დელფუშემ გაიგო მათი აზრი ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებრივ მიმართულებაზე და საერთოდ საეკლესიო საკითხებზე. ქუთაისში ყოფნამ და ხანგრძლივმა ლაპარაკმა ისეთ პირებთან, რომლებმაც კარგათ იცოდენ საეკლესიო კითხვები და როგორც აწმყო ისე წარსული ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებისა, უფრო ცხადით დაანახვა დელფუშეს ქართველი ერის სურათი, ვინემ ნახა იმ ადგილებში, სადაც სომხეთის, რუსეთის და ოსმალეთის შემოჭრით გამოწვეულ უთანხმოებას, ეროვნულ შეჯახებას და პოლიტიკურ გამწვავებას ბევრი რამ ქართული შეუცვლია, დაუჩრდილავს და გაუნადგურებია. დელფუშეს ქუთაისში მიეცა შემთხვევა დაწვრილებით გამოეთქვა თავისი შეხედულება ქართველ კათოლიკეთა დღევანდელ მდგომარეობაზე და სხვისი აზრიც მოესმინა ამ საგანზე.

შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ ქუთაისმა დელფუშეზე დიდი გავლენა იქონია და აქ საკითხის სისწორით გადასაწყვეტათ უფრო შესაფერი და უკეთესი პირობები შეიქმნა. ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობის სურათი და მათი სულისკვეთება აქ უფრო ცხადათ დაეხატა მას თვალწინ. ეროვნული მიმართულების სიღრმე სიდიადე და მისი ახლო დამოკიდებულება სარწმუნოებრივ მხარესთან აქ უფრო გამოაშკარავდა, მოკლეთ რომ ვსთქვათ, დელფუშემ ქუთაისში ბევრი რამ ისეთი გაიგო, რაც ახალციხეში და თბილისში ყოფნის დროს არ იცოდა, რაც თვითონვე აღიარა ქუთაისში საგანზე მსჯელობის დროს.

ცხადია დელფუშეს აზრი აღძრულ საკითხზე საბოლოოდ ის არ იქნება, რაც იყო თბილისში და იქიდან წამოსვლის დროს. მან თვითონ სთქვა ქუთაისში, რომ რადგან მისთვის ბევრი რამ საგულისხმო გამოირკვა, ის სიამოვნებით დაუცდის შედეგს, თუ ქუთაისიდან ხმა მიეცემა ქართველ კათოლიკებს და საკითხი ხელახლა გაირჩევაო. მან ისურვა, რომ ქუთაისმა მიიღოს ახლო მონაწილეობა საკითხის გადაწყვეტაში, რადგან აქ მეტი ობიექტივობა და საბუთიანობა სჩანსო.

არ ვიცით დაწვრილებით როგორ მოხსენებას წარუდგენს დელფუშე რომის-პაპას, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა კი არ იქნება, სანამდი აქედან ხალხის სურვილი დასაბუთებული და სათანადოთ დადასტურებული არ მიუვა იქ.

ყოველ შემთხვევაში საჭიროა, რომ ამ ორი სამი თვის განმავლობაში აქედან წარდგეს ხალხის ნების გამომხატველი საბუთი. ამ საბუთის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ფართო საზოგადოებამ იმ სახით, რა სახითაც დღეს მოსახერხებელი იქნება, თუნდა კონფერენციის საშუალებით, რომელსაც მცირე წარმომადგენლობა მაინც დაესწროს, თუ ფართო ტეხნიკურათ შეუძლებელი იქნება.

ქართველ კათოლიკებს უნდა მიეცესთ ლათინური ტიბიკონი, წირვა ლათინურათ, სახარ[illegible] და სამოციქულო, საგალობლები, ქართულ ენაზე, საიდუმლოები და სხვა წესები ოჯახებში ქართულათ, როგორც ეს ბევრგან უკვე არის ძველთა ძველი დროიდან და უკვე დაკანონებულია Consuetudo est [illegible]t—ჩვეულება არის კანონი.

ამ საკითხს გადაწყვეტაში ეროვნებაც უნდა შევინახოთ და სარწმუნოებაც დავიცვათ. თუ [illegible] გონიერათ გავსჯით და დავ[illegible]ქთებთ ეს მოხერხდება.

ტრ. ჯაფარიძე.

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.